სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება

18.08.2017 № 157
თბილისი

სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ

“სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების, სტუ-ს წესდების საფუძველზე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წელს სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის წარმართვა დაევალოს სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს;
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა განცხადებების მიღება განხორციელდეს საფაკულტეტო ბრძანებით შექმნილი საბუთების მიმღები კომისიების მიერ 2017 წლის 8 სექტემბრიდან 19 სექტემბრის ჩათვლით შაბათ-კვირის გარდა; (იხ. დანართი 1)
3. დაევალოს მაგისტრატურაში საბუთების მიმღები საფაკულტეტო კომისიების თავმჯდომარეებს, უზრუნველყონ ფაკულტეტების მიხედვით ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10⁰⁰ საათიდან 16⁰⁰ საათამდე, ჩარიცხვის მსურველთა განცხადებების და თანდართული საბუთების მიღება და მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება (იხ. დანართი 2);
4. განცხადებების რეგისტრაცია, არსებული წესის თანახმად, დაევალოს სტუ-ს კანცელარიის უფროსს ე. ოხანაშვილს;
5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლ.კლიმიაშვილს;
6. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ვებგვერდზე.

რექტორი ა.ფრანგიშვილი

ვიზები:

ვიცე რექტორი ლ.კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი ი.ლომიძე

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ბ.მაისურაძე

1. სამშენებლო ფაკულტეტი - მ.კოსტავას 68; სტუ-ის I კორპუსი, მე-5 სართული, ოთახი 537;
   საკონტაქტო ტელეფონი - 551107170;

2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი - მ.კოსტავას 77; სტუ-ის VIII
   კორპუსი, მე- 5 სართული, ოთახი 503;
   საკონტაქტო ტელეფონი - 593393132;

3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი - მ.კოსტავას 77; სტუ-ის III კორპუსი, მე-2 სართული,
   ოთახი 306;
   საკონტაქტო ტელეფონი - 236 0050;

4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი - მ.კოსტავას 69; სტუ-ის X
   კორპუსი, მე-4 სართული, ოთახი 403;
   საკონტაქტო ტელეფონი - 555498612;

5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი - მ.კოსტავას 68; სტუ-ის I
   კორპუსი, მე-5 სართული, ოთახი 543;
   საკონტაქტო ტელეფონი - 593 447 5 14;

6. არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი - მ.კოსტავას 68; სტუ-ის I
   კორპუსი, c ფლიგელი, მე-4 სართული, ოთახი 412;
   საკონტაქტო ტელეფონი - 555573430;

7. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი - მ.კოსტავას 77;
   სტუ-ის VI კორპუსი, მე-9 სართული, ოთახი 903 ბ;
   საკონტაქტო ტელეფონი - 577 527 729

8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი - მ.კოსტავას 77; სტუ-ის VI
   კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი 306 ა;
   საკონტაქტო ტელეფონი - 237 13 19; 599 14 20 80;

9. დიზაინის საერთაშორისო სკოლა. მ.კოსტავას 77; სტუ-ის VIII კორპუსი, II სათული
   ოთახი 3;
   საკონტაქტო ტელეფონი – 577 551 388;

10. აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი
    გურამიშვილის გამზ.№17, მე-2 სართული, ოთახი №209;
    საკონტაქტო ტელეფონი 593 190 772;

11. ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტი - მ.კოსტავას 77; სტუ-ის VI კორპუსი, მე-7
    სართული, ოთახი 704;

საკონტაქტო ტელეფონი - 551536011;

12. **საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - მ.კოსტავას 77; სტუ-ის VI კორპუსი, მე-8 სართული, ოთახი 803ა; საკონტაქტო ტელეფონი - 593684800;**

დანართი 2

მაგისტრატურაში ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოსადგენი საბუთები:

1. განცხადება რექტორის სახელზე ფაკულტეტისა და სამაგისტრო პროგრამის მითითებით;
2. პირადობის მოწმობა და მისი ასლი;
3. აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი ან კვალიფიკაციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი და მათი ასლები;
4. ფოტოსურათი 4 ცალი, ზომით 3 x4 სმ;
5. მიწერის მოწმობა და მისი ასლი, ან სამხედრო ბილეთი და მისი ასლი (სამხედრო ვალდებულთათვის);
6. მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ სამაგისტრო გამოცდებზე მიღებული ქულების ამონაბეჭდი შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდიდან (www.naec.ge);
7.თი-ბი-სი ბანკის რომელიმე ფილიალში გადახდილი 15 - ლარიანი ქვითარი.

ზემოჩამოთვლილი დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში აპლიკანტის განცხადება არ მიიღება. საბუთების პირველადი შემოწმება ხდება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში. შემოწმების შემდეგ საბუთების დედნები უბრუნდება წარმომდგენს.

დეკანატის მიერ ვიზირებულ განცხადებას, საბუთებთან ერთად, აპლიკანტი აბარებს სტუ-ს კანცელარიას;

სტუ-ს სამაგისტრო პროგრამებზე კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს აპლიკანტს, რომელსაც საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ოთხი ნაწილიდან რომელიმე სამ ნაწილში მიღებული აქვს აღნიშნული ტესტების მინიმალური გამსვლელი ქულები:

- წაკითხულის გააზრება - 6,4 ქულა
- ანალიტიკური წერა - 7.0 ქულა
- ლოგიკური მსჯელობა - 5.2 ქულა
- რაოდენობრივი მსჯელობა - 5,2 ქულა

აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს სასპეციალიზაციო გამოცდა შესაბამის საგანში. საგამოცდო ფურცელში, რომელიც გაიცემა ფაკულტეტებზე, მითითებულია გამოცდის თარიღი და ადგილი. კონსულტაციები სასპეციალიზაციო გამოცდებისათვის ჩატარდება შესაბამის ფაკულტეტებზე.

სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მოსაპოვებლად აპლიკანტმა სასპეციალიზაციო გამოცდაში ასევე უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

სასპეციალიზაციო გამოცდისათვის მინიმალური გამსვლელი ქულა ყველა სამაგისტრო პროგრამაზე არის 32 (შესაძლო მაქსიმალური 100 ქულიდან), მინიჭებული კოეფიციენტი - 65.